# შეგრძნებები

საშუალო დონე

1











საკითხავი წიგნები ენისა და საგნის (ბუნებისმცოდნეობის) ინტეგრირებულ სწავლებაში მხარდასაჭერად მომზადდა „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის“ პროექტის "საზოგადოების ინტეგრაცია მულტილინგვური განათლების გზით“ ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის ოფისის მიერ.


**ავტორები:**

თამარ ჯაყელი, შალვა ტაბატაძე, ნათია გორგაძე

ნანა დალაქიშვილი, თინათინ ცერაძე, თამარ ანთაძე, ელენე ჯაჯანიძე

**რედაქტორი**

კახა გაბუნია

**დიზაინერი**

ილია ჭრელაშვილი



© „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი“ (CCIIR)



**თბილისი**

**2019 წელი**

# შეგრძნებები

საშუალო დონე

1

ადამიანს აქვს 5 შეგრძნების ორგანო:
მხედველობა,
სმენა,
ყნოსვა,
გემო,
შეხება.



შეგრძნების ორგანოები  გვეხმარება
გარემოდან ინფორმაციის მიღებაში.

მე **ვხედავ თვალით.**



მე ვხედავ ხეს ტყეში.



მე ვხედავ ქოთანს სახლში.



მე ვხედავ    ლარნაკს სახლში.

**მე ვუსმენ ყურით.**



მე ვუსმენ მუსიკას სახლში.



მე ვუსმენ მასწავლებელს სკოლაში.



მე ვუსმენ ჩიტებს ტყეში.

მე ვყნოსავ ცხვირით.



სკოლაში ვყნოსავ ქოთნის ყვავილს.



სახლში ვყნოსავ წვნიანს.



ტყეში ვყნოსავ ასკილის ყვავილს.

მე **გემოს ვიგებ ენით.**





სახლში მე **ვაგემოვნებ** ფაფას.



სკოლაში მე ვაგემოვნებ ღვეზელს.



ტყეში მე ვაგემოვნებ მარწყვს.



მე ვეხები კანით.




სკოლაში ვეხები ცარცს.



ტყეში ვეხები ზღარბს.



სახლში ვეხები პირსახოცს.